

**„გამლის ყივილივით განთიადის წინამორბედნი...“****(რევაზ ფავლენიშვილი)****„SIGNALING THE DAWN LIKE THE CROWING****OF A ROOSTER...“****(REVAZ PAVLENISHVILI)****ალექსანდრე მღებრიშვილი**

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გორი, საქართველო

Aleksandre Mgebrishvili

Gori State University

Gori, Georgia

ABSTRACT

Along with others, the representatives of the Pavlenishvili family have made a significant contribution to the cultural life of the Tskhinvali region.

The Pavlenishvili family represented the ancestral house of the great nobility of Kartli, who are deeply rooted in the historical past of Georgia. According to existing assumptions, since the 9th-10th centuries, the surname of Pavlenishvili has been connected to the lineage of the Tbelis.

From the 17th-18th centuries, the Pavlenishvili family owned estates in Tedzami gorge, as well as in Eredvi, Vanati, Nikozi, and other locations. Researchers hold different opinions about the Pavlenishvili family's origin, with some suggesting a connection to the Mkhargrdzelis.

According to the Catholicos Anton I, the Pavlenishvili family initially settled in Pavnisi and later in the village of Eredvi in the Little Liakhvi gorge. Professor Giorgi Sosiashvili indicates that a branch of the Pavlenishvili family, which had settled in Eredvi, owned a castle there during the late feudal period. They had serfs in Vanati and Eredvi, where the said family lived until the first quarter of the 20th century.

The powerful family of Pavlenishvili played an important role in the public life of the country. Their spheres of influence included not only certain territories within the country, but they also had active relations with strategically important objects outside the borders of Georgia, such as the Georgian Monastery of the Cross in Jerusalem, having in mind Epiphane and Barnaba Pavlenishvili. The latter was the archbishop of Tbilisi and the abbot of the Monastery of the Holy Cross in Jerusalem, while Epiphane served initially as the head of the Diocese of Nikozi and later as the abbot of the Monastery of the Holy Cross in the Holy Land, as well as a diplomat.

One branch of the Pavlenishvili family, which settled in the village of Eredvi, lived there until the early 20th century, when they were expelled by the Bolsheviks.

The Pavlenishvili family made a significant contribution to the literary and cultural development as well as public life of the region, among other contributors. Their traces can be seen in the 1832 Georgian plot, in literature, and in their activities with the

Society for Spreading Literacy among Georgians, among other places. For example, on May 11, 1916, Archil Dedanashvili, the secretary of the Tskhinvali branch of the society, sent the report of their 1915 activities to Burjanadze, the secretary of the main board of the Society for Spreading Literacy among Georgians. According to one of the documents, in 1915, the Tskhinvali department included: Priest Zakaria Sadzaglishvili, Priest Davit Svimonishvili, Philimon Siradze, Priest Vladimir Unapkoshvili, Ivrita Purtseladze, Vasil Pavlenishvili son of Dimitri, Vasil Pavlenishvili son of Giorgi, Giorgi Pavlenishvili, and others.

In terms of literature, Revaz Pavlenishvili has greatly contributed to the development of the literary traditions in the Tskhinvali region, and unfortunately, his name is still unknown to some people in his native area.

საკვანძო სიტყვები: ქართული მწერლობა, ცხინვალის რეგიონის სამწერლო ტრადიციები, რევაზ ფავლენიშვილის შემოქმედება, ფავლენიშვილების საგვარეულო სახლი.

Keywords: Georgian literature, literary traditions of the Tskhinvali region, the works of Revaz Pavlenishvili, the ancestral house of the Pavlenishvili family.

დიდი ილიას მოსაზრებით, არავის აქვს უფლება გვერდი აუაროს თუნდაც პატარა მწერალს, თუ არ სურს, რომ გაადარბოს ეროვნული სიტყვაკაზმული მწერლობა. ბუნებრივია, ყველა მწერალი თანაბარ წვლილს ვერ შეიტანს მწერლობის განვითარებაში, ყველას ღვაწლი ვერ იქნება ერთნაირი, თუმცა ყველა თავის წილ აგურს დებს და ყველას თავისი წვლილი შეაქვს სამწერლო ტრადიციების მშენებლობაშიც, მის გაფართოებასა და განმტკიცებაშიც. „რა თქმა უნდა, რომ ერთნაირის უხვებით არ არის ყველა მომადლებული. ამაშიაც არის დიდპატარაობა, მაგრამ დიდი თუ პატარა, რაკი ცოტად თუ ბევრად ამ მადლის მექონია, იგი რჩეულია მრავალთა შორის და ეს რჩეულობა არის სამართლიანი მიზეზი და საბუთი, რომლის ძალითაც ერს შეუძლიან თავმოწონებით თქვას: ეს კაცი ჩვენგანიაო“ (ჭავჭავაძე 1941: 116).

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგის მოღვაწეთა შესახებ აკაკი წერდა: „ვიტყვიტ გულწრფელად, ნამდვილი განთიადი ხელოვნებისა მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში დგება. ამას გვიმტკიცებენ ახალგაზრდა მწერლები თავის პატარ-პატარა ფსიქოლოგი ეტიუდებით... ეს ნაწყვეტები მამლის ყივილივით განთიადის წინამორბედნი არიან ჩვენს ცხოვრება-ლიტერატურაში“ (წერეთელი 1896).

მიუხედავად ამისა, ეს მონაკვეთი ქართულ მწერლობაში ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი. ვ. ცისკარიძის „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხების“ მიხედვით, თუკი ქართულ ლიტერატურაში არსებობს სადმე უსამართლოდ მივიწყებული უბანი, ეს უეჭველად XIX საუკუნის 90-900-იანი წლებია. მხოლოდ 1965 წელს ვ. წოწელიას მიერ იქნა გამოცემული მათი თხზულებები მოკლე ბიოგრაფიული ცნობებითა

და კომენტარებით (წოწელია 1965: 301). მკვლევრებსაც კი დაავიწყდათ ამ მწერლების არსებობა... ეს არ იყო ოფიციალურად ჩამოყალიბებული სკოლა, ლიტერატურული ჯგუფი, უბრალოდ მეგობრული წრეც კი, რომლის წევრებსაც ჰქონდათ საშუალება შეხვედროდნენ ერთმანეთს, გაეცვალათ აზრები, გაემჟღავნებინათ ერთმანეთისთვის დაფარული იდეები. ეპოქის ახალი მოთხოვნა, შინაგანი ნიჭი და სტიმული, რათა გამოხმაურებოდნენ ამ მოთხოვნას, გახდა მიზეზი იმისა, რომ ასე უცებ, რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში, ამდენი ახალგაზრდა ერთად ჩაება ახალ და ჯერ კიდევ მძიმე უღელში (ცისკარიძე 1972: 67).

სწორედ ამ პერიოდის მკვლევართა შორისაა რევაზ ფავლენიშვილიც. მას მოღვაწეობა უხდებოდა მეტად რთულ გარემოში. ეს იყო XIX-XX საუკუნეების გასაყარი. ეს გახლდათ პერიოდი, როდესაც ჯერ კიდევ შეხვედრებით წარსულის მოგონებას დამსგავსებულ თავადაზნაურობას, პარალელურად დამკვიდრებას ცდილობს ბურჟუაზია და თანდათანობით ყალიბდება მუშათა და გლეხთა კლასი.

რევაზ ფავლენიშვილი დაიბადა 1884 წლის 8 თებერვალს სოფელ ერედვში.¹ წლინახევრის ასაკში გარდაეცვალა დედა – ევპრაქსია რატიშვილი, რომელიც წარმოშობით სოფ. ქსოვრისიდან გახლდათ და გადმოცემით უადრესად კეთილშობილი და სათნო ადამიანი ყოფილა. მამის – ალექსანდრე ფავლენიშვილის დარდიმანდი და ნადირობის მოყვარული ხასიათის გამო მათ ოჯახს თანასოფლელები „ჭრიჭინაანთ“ ოჯახს ეძახდნენ.

მამიდის – ქეთევან შუბლაძის აქტიურობის შედეგად ცხრა წლის რევაზი მიუბარებიათ თბილისში ანჩისხატის სამრევლო სკოლაში, თუმცა უსახსრობის გამო მალე იგი თავს ანებებს სწავლას. ოჯახის მზრუნველობას მოკლებული დროგამოშვებით მუშაობს ქარვასლაში კარადის მეთვალყურედ, დახურულ ბაზარში ფართლეულის გამყიდველად და ა.შ.

რ. ფავლენიშვილმა, როგორც საინტერესო მწერალმა, საზოგადოების ყურადღება მიიპყრო თავისი მოთხრობებით, რომლებიც პირველად ჟურნალ „მოამბეში“² დაიბეჭდა: 1895, №11, 12 – „მოტყუებული“, 1896, №1 – „ევა“, 1896, №4 – „გიორგი ქელესაშვილი“, რომელიც შემდეგში 1911 წელს ვ. გადილიამ³ გადმობეჭდა მის მიერ შედგენილ კრებულში „ალიონი“. ამავე წლის „მოამბეში“ (№6) დაიბეჭდა მოთხრობა „ამინდმაც ჩვენზე მოიცალა“. ეს მოთხრობა რუსულად თარგმნა ზედელაშვილმა და 1897 წლის გაზ. „Новое обозрение“-ში⁴ (№4524, №4525) დაიბეჭდა. 1897 წელს გაზ. „ივერიაში“⁵ (№79,

¹ ფავლენიშვილთა საგვარეულო სახლის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.: ვახუშტი 1973; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი 1984; სოსიაშვილი 2018b: 313).

² „მოამბე“ - ქართულენოვანი ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული ჟურნალი, გამოდიოდა თბილისში 1894 წლის იანვრიდან 1905 წლის ნოემბრამდე; რედაქტორი - ა. ჭყონია; გამომცემლები: ნ. ლოღობერიძე (1894), ა. ჯაფარიძე (1895-1905).

³ ვ. გადილია რედაქტორობდა (რედაქტორ-გამომცემელი) სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) მიმართულების ქართულ ყოველდღიურ პოლიტიკურ და ლიტერატურულ გაზეთს „ჩვენი ცხოვრება“, რომელიც გამოდიოდა 1906 წელს.

⁴ „Новое обозрение“ - Ежедневная политическая, общественная и литературная газета. Тифлис, 1884-1906.

⁵ „ივერია“ - ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა,

№81) გამოქვეყნდა მისი საშობაო მოთხრობა „არ ვიზამ, არა!“ და 1902 წელს (№1) კი საახალწლო მოთხრობა „თავადი ლუარსაბ ცეცხლაშვილი“. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე „ივერიაში“ დაბეჭდილი მოთხრობა „ზუნებაც ჩვენი წინააღმდეგია“, აქვს თარგმნილი აგრეთვე მოთხრობა „ტოკერი და ვერონიკა“, რომელიც 1899 წელს დაიბეჭდა „ივერიაში“ (№279, №280).

რ. ფავლენიშვილის მოთხრობები: „მოტყუებულნი“, „ევა“, „გიორგი ქელესაშვილი“, „ამინდმაც ჩვენზე მოიცალა“, „არ ვიზამ, არა!“ და ა.შ. ატარებენ ხალხოსნობის იდეურ-თემატიკურ თავისებურებებს. ასახავენ სოფლის დუხჭირ ცხოვრებას, ხასიათდებიან გამოსავალი გზების ძიების მცდელობებით.

რ. ფავლენიშვილის მოთხრობებს თავიდანვე გამოეხმაურნენ კ. აბაშიძე⁶ თავის „სალიტერატურო მიმოხილვაში“ (აბაშიძე 1896), პ. ჭარია (ივერია 1899), ხოლო ალ. ხახანაშვილს⁷ ფუნდამენტურ შრომაში „ქართული სიტყვიერების ისტორია“ (ხახანაშვილი 1906) რ. ფავლენიშვილი რამდენჯერმე ჰყავს მოხსენიებული ან. ფურცელაძის, ია. ეკალაძის, ან. ერისთავ-ხოშტარისა და მ. ჯავახიშვილის გვერდით.

მწერლის მხატვრულ შემოქმედებას პერიოდულად ეხმაურებოდა ქართული პერიოდული პრესა. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ 1896 წლის „ივერია“ (ივერია 1896ა: 4), რომლის ბიბლიოგრაფიის ნაწილში მოცემული კრიტიკული ანალიზი შიო არაგვისპირელის, დუტუ მეგრელისა და თედო სახოკიას თხზულებებთან ერთად ეხება რ. ფავლენიშვილის მხატვრულ ტექსტსაც. გაზეთი „თეატრი და ცხოვრება“⁸ კი ფავლენიშვილს მოიხსენიებს, როგორც თვალსაჩინო ბელეტრისტს და მოთხრობა-ამბავთა მწერალს: „თვალსაჩინო ბელეტრისტი, მოთხრობა-ამბავთა მწერალი, ქართულ ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელი. ცნობილია მისი მოთხრობები: „მოტყუებულნი“, „გიორგი ქელესაშვილი“, „ამინდმაც

გამოდიოდა თბილისში 1877 წლის 3 მარტიდან ყოველკვირულ გაზეთად, 1879-1885 წლებში - ჟურნალის სახით, 1886 წლიდან - ყოველდღიურ გაზეთად. დამაარსებელი და რედაქტორი ილია ჭავჭავაძე, თანარედაქტორი სერგეი მესხი (1881, „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციების გაერთიანებისას), ივანე მაჩაბელი (1882-1884), ალექსანდრე სარაჯიშვილი (1901 წლის 4 დეკემბრიდან); გრიგოლ ყიფშიძე (1903-1905), შემდეგ გაზეთის დახურვამდე (1906 წლის 27 აგვისტო) ფილიპე გოგიჩაიშვილი.

⁶ აბაშიძე კიტა (ივანე) გიორგის ძე - ლიტერატურული კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, 9 სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. 1890-იანი წლებიდან კ. აბაშიძე ინტენსიურად აქვეყნებდა ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს წარსულ და მის თანამედროვე მწერლებსა და ლიტერატურულ პროცესებზე.

⁷ ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი (ხახანოვი) - ქართველი ფილოლოგი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი. 1889 წლიდან პრივატ-დოცენტის ხარისხში კითხულობდა ლექციებს ლაზარევის აღმოსავლური ენების ინსტიტუტში ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ხოლო 1900 წლიდან - მოსკოვის უნივერსიტეტში. ა. ხახანაშვილმა შექმნა ქართული ლიტერატურის პირველი სისტემური კურსი ნაშრომით - „ქართული სიტყვიერების ისტორია“ (ტ. 1-4, 1895-1907). გამოცემული აქვს 80-მდე ნაშრომი საქართველოს ისტორიის, ლიტერატურისა და ეთნოგრაფიის დარგებში, ქართულ, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

⁸ „თეატრი და ცხოვრება“ - ყოველკვირული თეატრალურ-ლიტერატურული ჟურნალი. გამოდიოდა 1910, 1914-1920, 1923-1926 წლებში თბილისში. დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი - იოსებ იმედაშვილი.

ჩვენზე მოიცალა?“, „არ ვიზამ, არა!“, „თავადი ცეცხლაშვილი“ და სხვ. ზოგი მისი მოთხრობა გარჩეულია, თითო-ოროლა რუსულათ თარგმნილი მისი მოთხრობები დაბეჭდილია „ივერიაში“, „მომამბეში“, სწერდა სხვა და სხვა ფსევდონიმებით: რ. ერედველი, კვიმატი, ვინც გგონივართ ის არ ვარ და სხვ. ძველად მონაწილეობდა სცენაზედაც. თვით ნასწავლ-განვითარებული იყო, ღარიბად სცხოვრობდა. ქართული მწერლობის წინაშე ამაგი მიუძღვის“ (თეატრი და ცხოვრება 1918: 8).

ილიამ „ივერიაში“ დიდი ადგილი დაუთმო რ. ფავლენიშვილის თარგმნილ მოთხრობას „ტოკერი და ვერონიკა“ (ივერია 1899). მის შესახებ არაერთხელ წერდნენ ცხინვალის ერთადერთ ქართულენოვან გაზეთ „საბჭოთა ოსეთშიც“ (საბჭოთა ოსეთი 1964; საბჭოთა ოსეთი 1966; საბჭოთა ოსეთი 1968).

მწერლის შემოქმედება განიცდის ი. ჭავჭავაძის, შ. არაგვისპირელის გავლენას. ამ უკანასკნელის ზეგავლენა აშკარაა სათაურთა შერჩევისას. მისი მოთხრობების სათაურები ღრმავროვნადაა ჩაფიქრებული, გადმოგვცემს მოთხრობის შინაარსთან ერთად მის იდეასაც.

მან, როგორც ბელეტრისტმა საზოგადოების ყურადღება მიიპყრო მოთხრობებით, რომლებიც ჟურნალ „მომამბის“ გზით მიეწოდებოდა მკითხველს. ისინი გახლდათ: „მოტყუებული“ (მომამბე 1895), „ევა“ (მომამბე 1896), „გიორგი ქელესაშვილი“ (მომამბე 1896), „ამინდმაც ჩვენზე მოიცალა“ (მომამბე 1896) და სხვ.

ამ მოთხრობებიდან სამი – „ევა“, „გიორგი ქელესაშვილი“ და „ამინდმაც ჩვენზე მოიცალა“ – შევიდა მოგვიანებით ვ. წოწელიას რედაქტორობით გამოცემულ მოთხრობების კრებულში.

რ. ფავლენიშვილი ავტორია არაერთი კორესპონდენციისა, რომლებიც „ივერიაში“ პერიოდულად იბეჭდებოდა ფსევდონიმებით: „კვიმატი“, „ერედველი“, „ვინც გგონივართ ის არ ვარ“, „უსახური“ და სხვ.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, თუკი რაიმე ვიცი წინა საუკუნის ცხინვალისა და ერედვის ყოფასა და ცხოვრებაზე, ამაზე პირველ რიგში ჩვენს თანამემამულეს რ. ფავლენიშვილს უნდა ვუმაღლოდეთ (საბჭოთა ოსეთი 1966).

ახალგაზრდა მწერალი ჯერ კიდევ ბავშვობიდან გაიტაცა თეატრმა და წიგნის კითხვის დაუოკებელმა წყურვილმა. საკუთარ მოგონებებში იგი წერდა: „რასაც კი ვმოულობდი ან მაჩუქებდა ვინმე ფულს, ვყიდულობდი წიგნებს, რაც კი მომხვდებოდა ვკითხულობდი, როცა კი დროს ჩავიგდებდი ხოლმე. იმ დროს, რა დროსაც ეხება ეს ამბავი, გახშირებული იყო ფანტასტიკური მოთხრობა „ყარამანიანი“ და მოუთმენლად მოველოდი ხოლმე შემდეგი კარის გამოსვლას, ბევრი ღამეებიც გამთენებია კითხვაში. „ყარამანიანს“ მოჰყვა „ეთერიანი“, რომელმაც ისეთი გავლენა იქონია, რომ ვიტყვი კიდევ. კარგა მახსოვს ამ პერიოდში ჩემს ცხოვრებაში პირველად წავედი თეატრში და ვნახე „ქოროლი“. დღეს ძნელია ჩემთვის აღვნიშნო ის აღტაცება და გავლენა, როგორც მოახდინა თეატრმა ჩემზე. რომ იტყვიან დამატყვევა და დღედაღამ თეატრი მედგა თვალწინ“ (წოწელია 1965: 302).

ახალგაზრდა რ. ფავლენიშვილი ისე გაიტაცა თეატრის სიყვარულმა, რომ სპექტაკლში „სამაგელი“ მეზალე იმერელის როლის შესრულების შემდეგ ერთ-ერთ საგაზეთო რეცენზიაში ქებით გახლდათ მოხსენიებული

და რაც მისთვის განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენდა – ივანე მაჩაბლის მილოცვაც დაუმსახურებია.

თეატრისადმი კრძალვა და მისი განვითარებისთვის ზრუნვა ფავლენიშვილს არც მომავალ წლებში განელებია. 1914 წელს ჟურნალ „კლდის“⁹ ფურცლებიდან იგი გულმხურვალედ მოუწოდებდა ქართულ საზოგადოებრიობას: „აი, დღესაც ჰგოდებს, ვალალებს და სტირის ყოველი ქართველი იმ უბედურების გამო, რომელიც დაგვატყდა მოულოდნელად თავს. უღმობელმა ცეცხლის სტიქიონმა ხელიდამ გამოგვაცალა ერთად ერთი ეროვნული ტაძარი, ჩვენი დიდება, სიამაყე ქართული თეატრი.

სატირელ-საგოდებელიც არის ჩვენისთანა ბედკრული და ღარიბ-ღატაკი ხალხისთვის დანაკლისი, მაგრამ ცარიელი ტირილი, გოდება, ვიში და ვუშვი დაგვიბრუნებს დანაკლისს?! არასოდეს. მაშასადამე საჭიროა ნივთიერი დახმარება დაუყოვნებლივ და ჩემის აზრით ვისაც თავისი თავი ქართველად მიაჩნია და ქართველს უწოდებს თავის თავსა, დიდი თუ პატარა, ქალაქელი თუ სოფელი, ქალი თუ კაცი, თავადი თუ გლეხი, მოხელე თუ მეურნე, მღვდელი თუ ერის კაცი მოვალეა გაიღოს თავისი წვლილი ვისაც რამდენი შეუძლიან... მე როგორც უღარიბესი ავადმყოფი ადამიანი ჩემის მეუღლით ემმათი გაახლებთ დიდის ბოდიშით და მოწიწებით თითო მანეთს ამ ჟამად და ვეცდებით კვლავაც მოუწოდოთ შეძლების და გვარად ჩემი წვლილი. ამასთანავე ამ ახლო ხანში გაახლებთ ქართული თეატრის ბიბლიოთეკისთვის შემდეგს წიგნებს: „ჰამლეტი და ოტელო“ – შექსპირისა. „ჩანგი“ – გამოცემა სორაპინისა. „ქართული თეატრი“ – გუნიაის, „ქოხში“ – ი. გომართელისა, „კენჭისყრა“ – გურულისა, „ფიქრები“ – ჰაუპტმანისა. „ყაჩაღები“ შილერისა, „ორი ჯიბგირი“ – დეკურსელისა, „ანტიგონე“ – სოფოკლისა და „დალატი“ – სუმბათაშვილისა“ (ფავლენიშვილი 1914: 9).

1894 წლიდან რ. ფავლენიშვილი ცხინვალის სამკითხველოს მცველის პოზიციაზე მსახურობს და მისი ამ დროის პუბლიკაციები არაერთგზის მიუთითებს ცხინვალის სამკითხველოს და ზოგადად განათლებისა და სასკოლო ცხოვრების მიმართულებით არსებული პრობლემატიკის აღმოფხვრის აუცილებლობისაკენ. „ივერიის“ ერთ-ერთი პუბლიკაციით იგი სამადლობელი სიტყვით მოიხსენიებს მათ, ვინც ცხინვალის სამკითხველოს აღმოუჩინა დახმარება: „პატივცემულ იაკობ გოგებაშვილს, რომელმაც შესწირა თავისი ნაწერების გარდა, სამი მანეთისა სხვა წიგნებიც ყველა სამკითხველოსთვის და რასაკვირველია დაბა ცხინვალის სამკითხველოსაც ხვდება წილი. „მწყემსის“¹⁰ რედაქტორს მამა ღამბაშიძეს¹¹, რომელიც, ეს

⁹ „კლდე“ – ქართული ყოველდღიური საზოგადოებრივ-ეკონომიკური და ლიტერატურული ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 1912-1915 წლებში, რედაქტორ-გამომცემელი - რ. გაბაშვილი.

¹⁰ „მწყემსი“ – ქართული სასულიერო ჟურნალი. ჟურნალი სასულიერო თემატიკის გარდა დიდ ადგილს უთმობდა ქართული სკოლის, საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებს. 1885-1905 წლებში რუსულ ენაზე გამოდიოდა „მწყემსის“ დამატება „პასტირი“ რედაქტორ-გამომცემელი - დ. ღამბაშიძე.

¹¹ დეკანოზი დავით (დარისპან) ღამბაშიძე (1841-1910) 1868 წელს შორაპნის ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა. 1868-1873 წლებში შრომის წმინდა გიორგის, 1873-1875 წლებში დანაეთის წმინდა გიორგის, 1875-1887 წლებში კი ცხრაწყაროს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიებში მსახურობდა. 1887 წელს ყვირილას წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა და დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1891 წლის 15 მაისს წმინდა ანას II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1896

მეორე წელიწადია უსასყიდლოდ უგზავნის თავის გაზეთს. „ივერიის“, „კავკაზის“¹² რედაქტორებს, რომელნიც თითო ეგზემპლიარს უსასყიდლოდ უგზავნიან. არსენ კალანდაძეს, რომელმაც შემოსწირა შოთა რუსთაველის სურათი, ნატალია შავლოხოვისამ 2 მან. როსებ მაჭავარიანმა 2 მან. და აღგვითქვეს ორ-ორი მანეთი იოსებ ბასიევმა და სიკო კასრაძემ. ყველა ზემო აღნიშნულს დამხმარებელთ უგულითადესს მადლობას მოახსენებენ დაბა ცხინვალის სამკითხველოს კომიტეტის წევრნი“ (ივერია 1894ა: 4).

ცხინვალის სამკითხველოთი 1902 წელს დაინტერესდა „ცნობის ფურცელი“. ფრონისპირელის¹³ ფსევდონიმით ხელმოწერილი მასალა იუწყება: „მინდა გავკადნიერდე და საღათას ძილით შპყრობილს ცხინვალს პირბადე ავხადო... ყურები გამოგვიკედეს სამკითხველოს დაარსების შესახებ ლაპარაკით; გვაიმედებდნენ: სამკითხველოს ჩამქრალი ნაპერწკალი „ჩვენ“ გვსურს გავაღვიოთ და სხვა. ამას გაიძახოდნენ ცხინვალელი ინტელიგენტი კაცები და ქალები, მაგრამ ყოველივე ეს დარჩა „ხმად მღალაღებლისა უდაბნოსა შინა“. სამკითხველოს საქმე-კი განისვენებს წილსა შინა აბრაამისა, ისააკისა და იაკობისასა! დღეს სამკითხველოზედ სამგლოვიარო ზარი-ღა გაისმის, რადგან მეთაურთა შინა კინკლაობა და უბრობა ჩამოვარდა...“ (ცნობის ფურცელი 1902).

რევაზ ფავლენიშვილი თავს ვალდებულია მიიჩნევს მყისიერად გამოეხმაუროს ფრონისპირელის განცხადებას. „ივერიაში“ გამოქვეყნებული პასუხით იგი ცდილობს განმარტების გაკეთებას და ხსნის ცხინვალის სამკითხველოს ირგვლივ შექმნილ რეალური ვითარებას. მისი მოსაზრებით, გარკვეული შეფერხება არსებობს, თუმცა ის გამოწვეულია არა კინკლაობითა და უბრობით, არამედ გარკვეულ სუბიექტურ მიზეზთა გამო. კერძოდ: „რადგანაც ცხინვალის ჩამქრალ სამკითხველოს მომტირალი დასაწყისიდან დღევანდლამდის მე გახლავართ და ყურებსაც მართლა მე ვუჭედი ბეჭდვითი სიტყვით, თუ ლაპარაკით საზოგადოებას და კინკლაობა, უბრობაც მე მომივიდა ერთ ადამიანთან, მაშასადამე, ბ-ნ ფრონისპირელის სიტყვებიც მე მეკუთვნის. ამიტომ ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოკლედ მოვახსენო ხსენებულ წერილის პატივცემულს ავტორს, თუ რაოდენად შემცდარია სამკითხველოს შესახებ. როგორც წინად, ისე ახლაც, ისევ გულითა და სულით მოწადინებული გახლავართ სამკითხველოს „ჩამქრალი ნაპერწკალი გავაღვიოთ“, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ ხერხდება, იმიტომ-კი არა, როგორც მოჰლანდებია სიზმრად, თუ ცხადლივ ფრონისპირელს, ვითომ: „კინკლაობა და უბრობა ჩამოვარდა და გლოვის

წლის 6 მაისს წმინდა ვლადიმერის IV ხარისხის ორდენი უბოძეს. 1904 წლის აღდგომას წმინდა სინოდმა მადლობის სიგელით დააჯილდოვა. 1883-1910 წლებში საქართველოში მამა დავითის რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი „მწყემსი“ ქართულ ენაზე და ჟურნალი „პასტირი“ რუსულ ენაზე.

¹² **Кавказ** - Газета еженедельная с 1846-1851 г.г., с выходом два раза в неделю с 1852-1867 г.г., три раза в неделю с 1868-1876 г. и ежедневная с 1877-1918 г. Тифлис, 1846-1918.

¹³ ფრონისპირელი - ამ ფსევდონიმით (იხ. მიქაძე 1998: 163) მოღვაწეობდა დავით კასრაძე (ი. გრიშაშვილის ფსევდონიმების ლექსიკონის (თბილისი 1987) მიხედვით, ეს ფსევდონიმი გამოყენებული აქვს გიორგი გრიგოლის ძე ყიფშიძესაც, თუმცა იმის გამო, რომ იგი დაბადებული გახლდათ 1891 წლის 20 ნოემბერს, 1902 წლის „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორი ვერ იქნება). ამავე ფსევდონიმის ოდნავ განსხვავებული ვარიანტით - „ფრონის-პირელი“ მოღვაწეობდნენ ალექსანდრე ყიფშიძე და გრიგოლ (გიგო) ყიფშიძე.

ზარი-ღა გაისმის“, არამედ იმიტომ, რომ წარსულის წლის დეკემბერში ვითხოვეთ ნებართვა და წელს მაისის 8 თუ 10-ში მივიღეთ პასუხი: გვთხოვენ პროგრამას სამკითხველოსას და თორმეტს ამ თვეს გადავცით კიდეც და, დაგვრთავენ ნებას თუ არა, ღმერთმა იცის. მიბრძანეთ ახლა, ვის და რის ზრალი ყოფილა სამკითხველოს დაარსების დაგვიანება? მართალი ხართ, როდესაც ამბობთ: „პირ-ზადე უნდა ავხადო საღათას ძილით შეპყრობილს ცხინვალსაო“. მართალია ბევრი რამ ხდება უცნაური და ღირსია პირზადის ახდისა, თუნდაც იმიტომ, რომ ზოგიერთებმა გაახილონ თვალი და იცოდნენ, მათს ცუდსა და კარგს დარაჯი ჰყავს; კარგს ქებათა-ქებას უგალობენ, ვაშას დასძახიან, ხოლო ცუდს ჰკიცხავენ, ქარ-ცეცხლში ატარებენ, რათა გასწორდნენ...“ (ფავლენიშვილი 1902: 3).¹⁴

ცხინვალის სამკითხველოს მცველი რევაზ ფავლენიშვილი ადრეული პერიოდიდან აქტიურ საქმიანობას ეწევა, მართავს რიგ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რითაც ცდილობს რეგიონში კულტურული ცხოვრების გააქტიურებას. ეს აქტიურობა, ცხადია, არ რჩება „ივერიის“ ყურადღების მიღმა და მალევე ცხინვალის სამკითხველო კვლავ ექცევა მისი ინტერესის ცენტრში. 1894 წლის 6 მარტს აქ გამართული ლიტერატურული ღონისძიების შესახებ ცხინვალელმა მწერალმა „ივერიის“ ფურცლებიდან აუწყა საზოგადოებას.

ლიტერატურულ სადამოზე წაკითხულ იქნა ადგილები „ოთარაანთ ქვრივიდან“, „ელისოდან“, ცნობილ მწერალთა ლექსები, სიმღერები ვანათის მასწავლებლის ბ. ა. ჯალიაშვილის ლოტბარობით. საზოგადოების განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ნ. ერისთავის მიერ წაკითხულმა ლექსებმა და იმერულმა სცენებმა.

„დასასრულ, ცხინვალის სამკითხველოს კომიტეტი უგულითადესს მადლობას უძღვნის: ბ. ფ. ტ. ბოდდანოვს ასეთის თანაგრძნობისათვის და აგრეთვე ყველა იმათ, ვინც მხურვალე მონაწილეობა მიიღო სადამოში: თ. ნ. ერისთავს, ვანათის მასწავლებელს ა. ჯალიაშვილს, მ. კეცხოველს, რომელმაც გარდა მონაწილეობის მიღებისა შემოსწირა სამკითხველოს I ტომი ილია ჭავჭავაძის თხზულებათა, თ. ლ. ციციშვილს, თ. ი. მაჩაბელს, მ. ყანჩაველს, გლეხს სოლომან ზანგალაძეს, რომელმაც კითხვაც არ იცის, მაგრამ, გაიგო რა მნიშვნელობა სამკითხველოსი, შემოსწირა ორი მანეთი. იმედია, ჩვენი საზოგადოება არ დასტოვებს უყურადღებოდ ცხინვალის ღარიბ სამკითხველოს და მოაწვდის ხელს დასახმარებლად“ (ივერია 1894ბ: 2).

ხსენებული საგაზეთო მასალიდან ირკვევა, რომ იმავე 1894 წლის 5 მარტს ცხინვალის სკოლას ეწვია სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ. ფ. ტ. ბოდდანოვი, რომელმაც მოინახულა სკოლა, მოისმინა ადგილზე არსებული პრობლემების შესახებ, ადგილობრივებს აღუთქვა სახელმწიფო სუფსიდირების საკითხში დახმარება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა ცხინვალის სასკოლო ინფრასტრუქტურას. სკოლასთან ერთად სახალხო სკოლების ინსპექტორმა მოინახულა ცხინვალის სამკითხველო და შესწირა სამი მანეთი. სამ-სამი მანეთიც თან მხლები ორი ყმაწვილის მაგიერ (ივერია 1894ბ: 2).

¹⁴ მასალა გამოქვეყნებულია ფსევდონიმით - „რაე და ფარი“ (იხ. მიქაძე 1984: 43; ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია 1969: 651).

რ. ფავლენიშვილი სისტემატურად ადევნებს თვალს ცხინვალის ორკლასიანი ნორმალური სკოლის საქმიანობას, აქ მოღვაწე პედაგოგებს, გამართულ ღონისძიებებს და ყოველივე ამის შესახებ ინფორმაციას აწვდის დაინტერესებულ მკითხველს. საუბარი ეხება 1902 წლის 28 აპრილს ცხინვალის სკოლაში ი. ხიმშიაშვილის¹⁵ ხელმძღვანელობით გამართულ რუსი მწერლის – ჟუკოვსკის¹⁶ გარდაცვალებიდან ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებას.

ავტორი, ერთის მხრივ, გამოთქვამს კმაყოფილებას აქტიური სასკოლო ცხოვრების გამო, ხოლო, მეორეს მხრივ, აქვს კრიტიკული შენიშვნებიც.

„დ. ცხინვალი. აპრილის 28-ს აქაურს ორ კლასიანს ნორმალურს სასწავლებელში იდღესასწაულეს ორმოც-და-ათის წლის გარდაცვალების დღე რუსეთის გამოჩენილის მწერლის ჟუკოვსკისა. პანაშვიდის გარდახდის შემდეგ მასწავლებელმა ბ-ნმა ი. ხიმშიაშვილმა წაიკითხა მოკლე ბიოგრაფია მწერლისა. შემდეგ შესაფერი ლექსი სთქვა მკაფიოდ ერთმა მოსწავლემ. მასწავლებლის ვიახირიევის ლოტბარობით – მოსწავლე ქალებისა და ვაჟების გუნდმა იმღერა „ღმერთო ჰვარვიდე მეფესა.“¹⁷ შემდეგ გამოდიოდნენ პატარა მოსწავლეები, ხან ქალები და ხან ვაჟები, და ამბობდნენ ლექსებს. ლექსების კითხვის შემდეგ მოსწავლენი გალობდნენ. როგორც სიმღერას, ისე ლექსების თქმას შედარებით არა უშავდა-რა: თითო-ოროლა ზავშვმა ცოცხლად, მკაფიოდ სთქვა ლექსები. თქმა არ უნდა, ფრიად სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს ასეთი ვარჯიშობა ზავშვებისა, მხოლოდ სამწუხარო გახლდათ, რომ აუარებელი მშობლები ზავშვებისა, რომლებიც დაესწრნენ ამ სალიტერატურო დილას, იჯდნენ და პირ-ღია შესცქეროდნენ თავიანთ შვილების გალობას, ლექსების ტიტიმს და კი არა ეყურებოდან-რა, რადგან მოსწავლეების მშობლებმა იხჩი არ იცოდნენ რუსულისა ნუ-თუ არ შეეძლოთ ან მასწავლებელს ხიმშიაშვილს, ან პატიცემულს მამა ბლალოჩინს, რომელიც სადმართო სჯულის მასწავლებელიც არის, აეხსნათ, მოკლედ გადაეცათ მაინც და განემარტათ, რისთვის და ვისთვის გადაიხადეს ეს დღეობა?!“ (ივერია 1902: 2).

ცხინვალში არსებული სასკოლო ცხოვრებით რ. ფავლენიშვილი მომდევნო წლებშიც არაერთხელ დაინტერესებულა. ამ მიმართულებით საინტერესოა 1914 წლის ჟურნალ „კლდეში“ გამოქვეყნებული საგაზეთო

¹⁵ იასონ ლევანის ძე ხიმშიაშვილი - ცხინვალის ორკლასიანი ნორმალური სკოლის პედაგოგი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. 1914 წლის 20 აგვისტოს არჩეულ იქნა ქ.შ.წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოების ცხინვალის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარედ, ხოლო ამავე წლის 17 ნოემბერს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ცხინვალის განყოფილების კრებაზე, დახურული კენჭისყრით, არჩეულ იქნა საზოგადოების ცხინვალის განყოფილების გამგეობის წევრად (იროდიონ ბესარიონის ძე ოქროპირიძესთან, გიორგი ერმილეს ძე ღვთისაგარაშვილთან, არჩილ ზინობის ძე დედანაშვილთან და იოსებ გრიგოლის ძე გოგინაშვილთან ერთად).

¹⁶ ვასილი ანდრეის-ძე ჟუკოვსკი (1783-1852) - რუსი პოეტი, რუსული რომანტიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. არაერთი ლექსის, სიმღერის, რომანის, ზაღადის და ეპიკური ნაწარმოების ავტორი. აგრეთვე ცნობილია, როგორც მთარგმნელი, ლიტერატურის კრიტიკოსი, პედაგოგი. 1817-1841 წლებში იყო რუსეთის იმპერატორების ნიკოლოზ I მეუღლის რუსული ენის მასწავლებელი და ალექსანდრე II დამრიგებელი. ცნობილია, როგორც რუსეთის იმპერიის ჰიმნის „ღმერთო, მეფე დაიფარე!“ (1833) ტექსტის ავტორი.

¹⁷ „ღმერთო, მეფე დაიფარე!“ - ტექსტი ცნობილი იყო, როგორც რუსეთის იმპერიის ჰიმნი. ტექსტის ავტორი (1833) ვასილი ანდრეის-ძე ჟუკოვსკი.

მასალა „ცხინვალის სკოლის გამო“, რომელიც ცხინვალში პირველ-დაწყებითი უმაღლესი ტიპის სკოლის დაარსების საკითხს ეხება. როგორც ჩანს, აღნიშნული სკოლის დაარსებამდე არსებობდა გარკვეული პრობლემები, რომლებიც ავტორს გაბედულად გამოაქვს მკითხველის სამსჯავროზე და ცდილობს გარკვეული გამოსავალი მოძებნოს არსებული რთული ვითარებიდან.

„თქმა არ უნდა, სადაც ნათელია, იქ სიბნელეც შესაძლებელია და სწორედ ამ სიბნელეს უნდა მიეწეროს, რომ ადგილობრივმა ებრაელებმა, რომელნიც თითქმის უმრავლესობას შეადგენდნენ, უარი განაცხადეს რისამე გაღებაზედ სკოლისათვის. უეჭველია ისიც, რომ ეს ებრაელები უარს ამბობდნენ იმ მოსაზრებით, რომ ისინი თავიანთ შვილებს ქრისტიანების სკოლაში არ აღზრდიან. ამათ მიჰყვნენ გონებით ბნელი ზოგიერთი ქართველები, სომხები და ოსებიც. ბოლოს სინათლეს გაუმარჯვნია და გადაწყვეტილა დაარსდეს სკოლა. რა გვარი სკოლა იქნება და რამდენად სასარგებლო ჩვენ ქართველებისათვის ამის თქმამეტად მნელია. გაჩაღებულია ხელის მოწერა შეწირულობათა და ზოგიერთებს ისეთებს და იმდენზე მოუწერია ხელი, რომელთაგანაც საზოგადოება არამც თუ ათ თუმანს, ათ შაურსაც არ მოელოდა. სხვათ მრავალთა შორის ექვსი დღიური (სამი დესეტინა) მიწა შეუწირავს ადგილობრივ ცნობილ ვაჭარს პავლე ოვანოვს და ორმოცდაათი თუმანი ნაღდი ფული წყლის გამოსაყვანად. შეწირული მიწა მდებარეობს ცხინვალის მისავალზე ესრედ წოდებულ „ზღუდრის“¹⁸ გვერდაზე“ სულ რამდენიმე საჟენის მანძილზე. ამავე მიწასთან ერთი დღის მიწაც შეუწირავს ადგილობრივ ხელოსანს და ვაჭარს ჩიტა კასრაძეს, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ ამ უხვი შეწირულებიდან არ მიუღიათ არაფერი სკოლის ამორჩეულ პირებს რა მოსაზრებით ჯერ არ ვიცით. მხოლოდ ამ ამორჩეულ პირებს მიუმართავთ თავად ვასილ გიორგის ძის მაჩაბლისათვის, დაეთმო ადგილი და როგორც სჩანს ბ-ნ მეურნეს¹⁹ წერილიდან (სახალხო გაზეთი 1914) პატივცემულ თავადს ვ. გ. მაჩაბელს შეუწირავს ოთხი დღიური (ორი დესეტინა) მიწა მდებარე ნაცარ გორაზე²⁰ კასსირეთის მიჯნაზე. რაღა თქმა უნდა დიდი მადლობის ღირსია თავადი მაჩაბელი ამ გულ-უხვი შეწირულობისათვის. მისი მამული მართლაც ჩინებულია ხეხილის ბაღისა,

¹⁸ ზღუდერი - სოფელი დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირზე. XVIII-XIX საუკუნეებში თითქმის დაუსახლებელი. როგორც სახელწოდება ზღუდერი გვიჩვენებს, ეს ძველი ცხინვალისთვის ზღუდე, სიმაგრე იყო. ძველ ივერიაში (ქართლში) ქალაქის ცენტრალურ ნაწილს ეწოდებოდა ქალაქი. მას გარს ერტყა გაღავანი. აი, ამ „შეზღუდულ“ ნაწილს ზღუდე ეწოდებოდა. ცხინვალის ზღუდერი ქალაქისთვის ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენდა (საქართველოში რამდენიმე ზღუდერია ცნობილი. ერთ-ერთი მათგანი ქარელის რაიონში, ყინწისის ეკლესიასთანაა, მეორე - ძამის ხეობაში). ზღუდერში წმინდა გიორგის ეკლესია დგას, რომელიც განახლებულია XVII საუკუნის შუა ხანებში. ცხინვალში არსებული ხუროთმოძღვრების ძეგლების შესახებ უფრო დეტალურად იხ. მღებრიშვილი 2017).

¹⁹ „მეურნე“-ს ფსევდონიმით მოღვაწეობდა ორი პირი: გიორგი ნამორაძე და აპოლონ წულაძე, იხ. (შუღლიაშვილი 1914: 132). [ქსეროასლი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში] (იმედაშვილი 1940: 135).

²⁰ ნაცარგორა - ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი ქ. ცხინვალის სამხრეთ-დასავლეთით 1,5 - 2 კმ-ით. მდებარეობდა ბუნებრივ ბორცვზე. არქეოლოგიური გათხრებისას ძირითადად გამოვლინდა 3 კულტურული ფენა და მათ ქვეშ მდებარე ადრინდელი ბრინჯაოს ხანის 5 ორმოსამარხი.

ბოსტნეულისა, ვენახისა და სხვა მოსავლისათვის და რამდენად გამოდგება სკოლისათვის ამისი კი რა მოგახსენოთ. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ მაჩაბლის ადგილი ჯერ ერთი შორს არის ცხინვალზე, მეორე – მივარდნილ-მიყრუებული ადგილია, მესამე – რიგიანი გზა არა აქვს და რომ შესაფერი გზა გაიყვანონ დიდ ხარჯს მოითხოვს. ამასთან გარშემო სულ ვენახები, სარწყავი მამული არტყია... ასეა თუ ისე, ჩვენ დაწვრილებით განხილვაში არ შევალთ, ეს ჩვენი საქმე არ არის. ჩვენ მხოლოდ გვანტერესებს სკოლა და იმედია ამორჩეულნი პირნი ანუ ვისადმიც ჯერ არს, მიაქცევენ ყურადღებას, გამოიკვლევენ დაწვრილებით სკოლის ადგილების ღირსება-ნაკლულოვანებას და სკოლას არ დაუქვემდებარებენ რაღაცა პირად ანგარიშებს, თორემ ბოლოს სინანული ვეღარას უშველის“ (კლდე 1914ა: 11).

1903 წლიდან რ. ფავლენიშვილი მცირე ხნით მუშაობას იწყებს „ივერიაში“. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ზოგიერთი საყურადღებო მასალა, რომელთაც „ივერიის“ ფურცლებიდან იხილეს მზის სინათლე. ზოგადად ილიას „ივერიის“ მოღვაწეობის მთავარ ქვაკუთხედს ყოველთვის სამშობლოს ბედზე ზრუნვა და ენის სიწმინდის დაცვის საკითხების წინა პლანზე წამოწევა წარმოადგენდა. რწმენა, სამშობლო და ენა ქართველი კაცის უმთავრესი ღირებულებები იყო ყოველთვის და „ივერიაც“ სწორედ ამ ფასეულობათა დაუძინებელი მცველის პოზიციებიდან ესაუბრებოდა მკითხველს. როგორც ალექსანდრე ხახანაშვილი მიუთითებდა – ორი სიტყვით რომ ვთქვათ ერს ასულდგმულებდა მიწა და ენა. ერი, რომელსაც არა აქვს მტკიცე ბინა და ფეხ გასამაგრებელი მამული, რომელიც დამრწის სუყველგან, სადაც გამორჩენას მოელის, ამგვარი ერი მოკლებულია სიმტკიცეს, დგას გადაგვარების გზაზე, ადვილად დნება სხვა ერთა მორევში. მეორე სახსარი, რომლითაც ერი იბრძვის თვითარსებობისთვის არის ენა, მისი შემაერთებელი განუყოფელ სულიერ არსებად, მიუხედავად ბუნებითი ანუ უკეთ ადგილობრივი მოშორების და განაწილებისა“ (ივერია 1896ბ: 1).

რევაზ ფავლენიშვილი, როგორც რეგიონში მცხოვრები და თვითმხილველი, მწუხარებით ადევნებს თვალს ადგილობრივი მოსახლეობის მძიმე სოციალურ მდგომარეობას. დაბა-სოფლების მცხოვრებთა იმ გაჭირვებას და სიღატაკეს, რომლის მორევს არა მარტო დაბალი სოციალური წრის ადამიანები, არამედ მაღალი წოდების წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობა ჩაუთრევია. თავადაზნაურთა წარმომადგენლობითი ნაწილი საარსებო სახსრის შოვნის ერთადერთ გზას მამულების დაგირავებაში ხედავს, რაც ხშირად ებრაელი და სომეხი ეროვნების ვაჭრების ხელში გადასვლით, მათი საბოლოო დაკარგვითა და ისედაც მძიმე ყოფის კიდევ უფრო დამძიმებით სრულდებოდა. ამიტომ, სიღარიბის დაძლევის ერთადერთ გზად მწერალი განათლებას მიიჩნევს. მისი აზრით, თავადაზნაურობამ თავის კუდაბზიკობას თავი უნდა დაანებოს, გვერდით გადადოს ცარიელი, გაფხევილი წოდებრივი ღირსება, გადახვიოს ხელი ძმურად, მამაშვილურად, მეგობრულად გლეხს, ამოუდგეს გვერდში და მასთან ერთად იშრომოს (წოწელია 1965: 304).

ცხინვალელ მწერალსა და მოღვაწეს უდიდესი ტკივილი მიაყენა დიდი ილიას ვერაგულმა მკვლელობამ. ამ ვანდალური აქტით შემრწუნებული

შემოქმედი გულიდან ამოსულ სტრიქონებს უგზავნის „ისარის“²¹ რედაქციას დასაბეჭდად. სტატიაში „მხეცთა მსხვერპლი“ იგი წერდა: „ადამიანის სიმხეცე, სიბოროტე, საზიზღრობა თუ იქამდისინ მივიდოდა, რომ მხეცად გააფთრებულ-გაგიჟებულ და გაცოფებულ ტყის ნადირად გადაიქცეოდა და შეახებდა თავის ბილწს, მურდალის ხელს სამოცდაათი წლის მოხუცს, ერის დიდებულ მუშაკს, ერის სათაყვანებელ ადამიანს, ამას კი ვერ წარმოვიდგენდი, უწმინდურებმა და მარჯვენა შეჩვენებულმა ცხელის ტყვიით გაუგმირეს დიდებულ მოხუცს, დიდებული შუბლი. სრული ორმოცდაათი წელიწადი ლამპარივით გზას გვინათებდა და გვიკვალავდა ეკლიან გზას! მადლიანის ნაწარმოებითაც არა ერთი და ორი ახალგაზრდა აღზრდილა, არა ერთი და ორი აღფრთოვანებულა მისის მადლის, კაცთმოყვარულის აზრებით, მამულისა და ხალხის სიყვარულით!...

განაღა დარჩა რამ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ჭირ-ვარამი, სატკივარი, რომ მის მადლიანს, ძალუმს კალამს გადარჩენოდეს რამე?! არ შეხებოდეს თავისი ძალუმბიანი ნიჭით და ნათელი არ მოეფინოს? განაღა გვყავდა ანდა გვყავს ვინმე იმისთანა დარაჯი, როგორც იყო ვერაგულად მოკლული ილია, ჩვენი ქვეყნის მტერთა წინაშე?! ვინ აძლევდა პასუხს გამკითხველთ?! ილია!... ვინ ედგა სათავეში ჩვენ ღარიბ მწერლობას?! ილია!... ვინ ედგა სათავეში ჩვენს საზოგადო საქმეს?! ილია!... ვის მადლიანმა აზრმა, ენამ და კალამმა გამოზარდა ვაჟა-ფშაველა, თედო რაზიკაშვილი, შიო არაგვისპირელი და სხვა მრავალნი?! ილიამ, ილიამ, იმ ილიამ, რომელსაც დღეს დასტირის მთელი შეგნებული ნამდვილი ქართველობა...

ნუთუ ერთხელ მაინც არ დაეკითხნენ თავიანთ სინდისს რას ვჩადივართო? ვის, ვის რად დასჭირდა მოხუცი ადამიანის შეგინება, შელახვა და მასთან მთელი ერისა?! რად, რისთვის?! ვის რა დაუშავა?!

ჩვენ გვყვანან მტრები შინაურიც და გარეულიც, რომელნიც ყოველ ღონეს ხმარობენ დაამხონ, პირქვე დასცენ ჩვენი ქვეყანა. ჩვენი ვინაობა, ჩვენი არსებობა და ნიადაგიც მომზადებული გახლავთ... რად გინდათ გადაშლეთ საპოლიტიკო, სამეცნიერო გაზეთი „ქარიშხალი“²² და იქვე ამოიკითხავთ შედეგს ჩვენი თანამედროვის მეცნიერ-პუბლიცისტის სიტყვებს: საქართველო და ქართველები კი არა, მთელი კავკასიაც რომ არ იყოს, ამით ქვეყანას არა დააკლდება რაო...

წყევლიმც იყვნენ ამიერიდან უკუნითი უკუნისამდე მათი მისხი, მათი შთამომავალნი, მათი ჯილაგი... რომელთაც გამოგვაცალეს ხელიდან დიდებული და შესანიშნავი ადამიანი ილია ჭავჭავაძე. მაგრამ ცარიელი სიტყვით, კრულვით, შეჩვენებით, არა გამოვა რა... ყველამ... მივიღოთ მონაწილეობა და აღმოვაჩინოთ ის ბნელი ძალები, რომელთაც ჩაიდინეს ისეთი საშინელი, საზარელი, სამარცხვინო ბოროტება, რომელიც არ მომხდარა არც ერთ ქვეყანაში.

²¹ „ისარი“ - ქართული ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი. სოციალ-ფედერალისტთა ცენტრალური ორგანო. გამოდიოდა თბილისში 1907-1908 წლებში ყოველდღიურად. რედაქტორ-გამომცემლები: ი. მჭედლიშვილი (1907, №№ 1-122), ე. ავალიშვილი (1907 წლის №123-იდან 1908 წლის №11-მდე); 1908 წლის №12-იდან რედაქტორი - ვ. გუნია, გამომცემელი - ე. ავალიშვილი.

²² „ქარიშხალი“ - ყოველკვირეული სამეცნიერო ლიტერატურულ-კრიტიკული და საზოგადოებრივ-ეკონომიური გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1907 წელს. რედაქტორ-გამომცემელი: ივ. ებრალიძე. გამოვიდა ხუთი ნომერი.

მშვიდობით დიდებული ჩვენო მოამაგე, დარაჯო, ჩვენო მოჭირნახულე მამაო ილია! მოწიწებით მუხლმოდრეკილი, შენი ნაწერებით აღზრდილი, ვემთხვევი შენს გაცივებულ გვამს²³.

რედაქციას რატომღაც არ დაუბეჭდავს ეს წერილი. ამ გარემოებით აღშფოთებული რ. ფავლენიშვილი ვ. გველესიანს²⁴ სწერდა: „თუკი ზოგისა სამ-სამი წერილი და ლექსი მოათავსეთ, რატომ ჩემი ერთი წერილი არ დაბეჭდეთ. მიზეზი უადგილობა კი არ არის, ჩემო კარგო, არამედ ჩვენი ქართველური უყურადღებობა... ვინ და რა მხეცებმა შეახეს ხელი სამოცდაათი წლის მოხუცს და ისიც როგორ მოხუცს, რომლისთანა ძნელად რომ კიდევ დაგვებადოს. მაგისთანა კაცები საუკუნოებით იზადებიან და არა ყოველთვის, მეათასედმაც კი არ იცის რა იყო ჩვენთვის და ვინ იყო“ (წოწელია 1965: 305).

ამ ფაქტის მიუხედავად, დიდი ილიას მკვლელობის ფაქტით გამოწვეულ წუხილს მწერალი გამოხატავდა ჟურნალ „კლდის“ ფურცლებიდან: „ქართველები რომ გატაცებული ხალხი ვართ და პირველ ხანში უბედურებასაც და ბედნიერებასაც დიდი აღფრთოვანებით ვეგებებით, ეს არავისთვის დაფარული არ არის და დაგვეთანხმება ყველა, ვისაც ფხიზელის თვალთ უდევნებია თვალ-ყური ჩვენის ცხოვრებისათვის, მხოლოდ ჩვენდა დიდად საუბედუროდ მალე, ძრიელ მალე გაგვიგრძელება გული და ყოველივე ჩვენი საქმე უდროვოდ მიწელდება ხოლმე... ბევრის მაგალითების ჩამოთვლით თავს არ მოგაწყენთ და მოგაბეზრებთ მკითხველს, საკმარისია მოვიგონოთ დიდებული ილია ჭავჭავაძის მოკვლის ამბავი და მისი დასაფლავება. საეროვნო თანხაც კი გვინდოდა შეგვექმნა, მაგრამ გადავლეთ თვალი ბევრი შევაგროვეთ? რიგიანი ძეგლიც კი ვერ დავადგით! რამდენი ამისთანა მაგალითები შემიძლიან ჩამოვთვალო, მაგრამ რა საჭიროა“ (კლდე 1914ზ: 9).

1903 წელს „ივერიის“ რედაქციაში განხორციელებულ რეორგანიზაციას მოყვა თანამშრომლების გარკვეული რაოდენობის შემცირება. შემცირებულთა შორის აღმოჩნდა რევაზ ფავლენიშვილიც, რომელმაც საარსებო სახსრების საშოვნელად ბაქოს მიაშურა. უფრო ზუსტად, იგი მუშაობას იწყებს კახელ მევენახეთა საზოგადოება „კახეთის“ ბაქოს განყოფილებაში.²⁵

ბაქოში, ღვინის სარდაფში მუშაობის ათი წლის მიუხედავად რ. ფავლენიშვილი განიცდიდა უკიდურეს მატერიალურ სიდუხჭირეს. მის ავტობიოგრაფიაში ბაქოში გატარებული წლები უმადურ შრომად, უაღრესად მძიმე პერიოდად და დაკარგულ დროდ არის მოხსენიებული. „ათი წლის განმავლობაში წერა კი არა, ხშირად პურის ჭამის დროც არა მქონდა. ვაწარმოებდი ვაჭრობას, მეგონა „კახელ მევენახეთა საზოგადოება“ დააფასებს ჩემს ერთგულ ათი წლის სამსახურს მეტეჟი, მაგრამ ამაოდ... შეიძლება დღესაც იქა ვყოფილიყავი, მაგრამ დავადმყოფდი, ექიმებმა მირჩიეს დამენებებინა თავი ბაქოსთვის. ვთხოვე, წარვადგინე ექიმების

²³ ი. ჭავჭავაძის ფონდი №344;

²⁴ რევაზ ფავლენიშვილის დისშვილი.

²⁵ თავისი დროისთვის ცნობილი გაერთიანება - „Общество кахетинских садовладельцев под фирмою „Кахетия“, Бакинское отделение“

მოწმობაც კახელ მევენახეთა საზოგადოების გამგეობას გადავეყვანე თბილისში, მაგრამ ჩემმა თხოვნა-მუდარამ, ათი წლის ერთგულმა სამსახურმაც არავითარი გავლენა არ იქონია, გადმომიგდეს ორი თვის ჯამაგირი დაავადებულ ადამიანს და მიბრძანდი საცა გნებავსო. მეც რა მეტი გზა მქონდა, რომ თავი არ დამენებებინა“ (წოწელია 1965: 304).

ბაქოში გატარებულმა მძიმე წლებმა ნეგატიური გავლენა იქონიეს მწერლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. იგი სამშობლოში დაავადებული დაბრუნდა. დროებით ახლობლებს შეეხიზნა დედაქალაქში და მუშაობა დაიწყო ჟურნ. „კლდის“ რედაქციაში. მისი ამ პერიოდის პუბლიცისტური პროდუქტია წერილების ციკლი „ჩვენი ცხოვრება“. რამდენიმე ნომერში გაგრძელებით გამოქვეყნებულ ტექსტებში განხილულია მრეწველობისა და ვაჭრობის საგულისხმო საკითხები XX საუკუნის დამდეგის საქართველოში.

„ქართველები რომ ვაჭრობა-მრეწველობაში, ალებ-მიცემობაში უვიცნი, ანისა და ბანის უცოდინარნი და ძლიერ უკან ჩამორჩენილი ხალხი ვართ. ამას თქმა, დიდი გამოცნობა და დამტკიცება არ უნდა. ცხადზე უცხადესია, რომ არა გვაქვს ცოდნა, გამოცდილება, ვაჭრული ალღო და არც თუ ძლიერ თავს ვიცხელებთ და ვცდილობთ!... უამისოდ კი ჩვენი ცხოვრება უფერული, უღონო იყო, არის და იქნება იმ დრომდე, ვიდრე ასე კუს ნაბიჯებით ივლის ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობა, როგორც დღეს არის. მართალია ამ ბოლო დროს ცოტა არ იყოს თვალი გაახილა ქართველობამ და დაეტყო გამოფხიზლება, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობა აღორძინდა და ნაყოფიერ გზას დაადგა!.. ვერ დამისახელებთ ვერც ერთ ქართველს, რომ რაიმე ვაჭრული მომზადება ჰქონდეს. ეს ასედაც უნდა იყვეს რადგან ჩვენში, ჯერ დღესაც, როდესაც თითქმის ცოტად თუ ბევრად შევიგენით მნიშვნელობა ვაჭრობა-მრეწველობისა, ვთაკილობთ ვაჭრობას, ვაჭარს არად ვაგდებთ, დავცინით და უწინ ხომ საკიცხავი წოდება იყო. ან კი ვისა ნახავდით ვაჭარს ჩვენში ქართველს. მთელი ალებ-მიცემობა, ვაჭრობა მრეწველობა ებრაელებისა, სომხებისა და უცხოელების ხელში იყო და არის დღესაც. დიახ, სამარცხვინოდ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია დღესაც ვაჭრობა-მრეწველობა! დღესაც ხშირად გაიგონებთ: ვაჭრობას რა დიდი ცოდნა უნდა, საქონელი იაფად იყიდე და ძვირად გაყიდეო!... აი მთელი ცოდნა, მომზადება და მეცნიერება ჩვენი - ვაჭრობა-მრეწველობისა! ჩვენში ძლიერ ცოტამ იცის, რომ ამ საგნისთვის არსებობს მთელი ლიტერატურა, მეცნიერება და უმაღლესი სასწავლებლებიც...“ (ფავლენიშვილი 1915: 13).²⁶

ვიდრე დავასრულებდეთ რევაზ ფავლენიშვილის პიროვნების და მისი მოღვაწეობის შესახებ საუბარს, გვსურს მწერლის ბიოგრაფიის ერთი საგულისხმო შტრიხი წარვუდგინოთ მკითხველს. მხედველობაში გვაქვს მისი თანამშრომლობა სატირულ პრესაში.²⁷ მაგალითად, 1907 წელს მის სატირული ხასიათის ტექსტს უმასპინძლა სატირულ-იუმორისტულმა

²⁶ აღნიშნული ტექსტის უფრო დეტალურად გასაცნობად იხ. ჟურნალი „კლდე“, 1915, №4, გვ. 13-15; №5, გვ. 12-14; №7, გვ. 15-16.

²⁷ სატირული ჟურნალისტიკის ჩანასახად საქართველოში უნდა ჩაითვალოს 1857 წელს ჟურნალ „ცისკარში“ „სალაყბო ფურცლის“ ჩამატება. XIX საუკუნის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში პერიოდულად გვხვდებოდა მსგავსი ხასიათის პუბლიკაციები, 1894 წლიდან ვ. გუნიას რედაქტორობით გამოდის ჟურნალი „ჩვენებური რამე-რუმე“, 1904 წლიდან ჟურნალი „მურდული“ ია ერადის (სოფრომ მაგალობლიშვილი) ხელმძღვანელობით; 1905

პერიოდულმა გამოცემამ „ნიშადური“.²⁸ მკითხველის წინაშე გამოგვს მცირეამონარიდი „კვიმატის“ ფსევდონიმით „ნიშადურში“ გამოქვეყნებული ლექსიდან „ვითომ არჩევნები“:

„ზუბალაშვილის სასახლეს ხალხი ზღვასავით აწყდება,
რიგი მოდის, რიგი შედის, ზოგი სახლისკენ ბრუნდება.
ერთმანეთში ირევან ცილინდრიან-ჩოხოსნები,
უებრო სოციალისტნი და ქუჩური ძმა-ბიჭები.
მოწესრიგეთ სისხლის გუდა დამცემლები ბრძანდებიან,
თავი მოაქვთ სამსახურით, ვირთხებივით დაძვრებიან.
„რავდენი ჩააგდე ესე?“ - ჯერეთ სამი, შენა თედო?
„ახლა ღიპადის პაკეთი ყუთში უნდა ჩავახედო...“ (ნიშადური 1907: 8).

მოხმობილი მასალები მიუთითებს, რომ რევაზ ფავლენიშვილი სამწერლო და პუბლიცისტურ მოღვაწეობასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა თავისი დროის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისი საინტერესო პუბლიკაციები სისტემატურად იბეჭდებოდა XIX-XX საუკუნეთა მიჯნის მთავარ გამოცემებში. ეხმაურებოდა ქვეყანაში მიმდინარე საგულისხმო პროცესებს და ყოველთვის ეკავა პროგრესულად მოაზროვნე, პატრიოტი მოქალაქის პოზიცია.

ბაქოში მოღვაწეობისას დაავადებული მწერლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, უსახსრობის გამო, კიდევ უფრო დამძიმდა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. დისშვილისთვის მიწერილ ერთ-ერთ ბარათში იგი წერს საკუთარ მძიმე ხვედრზე, მძიმე დაავადების წინააღმდეგ უშედეგო ბრძოლასა და საკუთარ უნუგეშო მდგომარეობაზე: „ვერა ვარ კარგად, საიქიოს მიწვევენ, ძალიან ვჭირვეულობ, მეზარება წასვლა, მაგრამ მე ვინდა მკითხავს!“ (წოწელია 1965: 306).

რ. ფავლენიშვილი გარდაიცვალა 1918 წელს. მას თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ქართული მწერლობის წინაშე და უფრო მეტად ცხინვალის რეგიონის სამწერლო ტრადიციების გადრძევასა და განვითარებაში. დაკრძალულია ცხინვალში ზღუდერის ეკლესიის²⁹ სასაფლაოზე.

გამოყენებული ლიტერატურა

აბაშიძე 1896: აბაშიძე კ., 1895 წლის სალიტერატურო მიმოხილვა. გაზეთი „ივერია“. №4, 1896.

გოზალიშვილი 1976: გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. III. თბილისი, 1976.

წელს ქუთაისში დაიბადა „არჩევანი-არადანი“, 1906 წელს თბილისში „კომარი“, 1907 წელს კარიკატურებიანი გაზეთი „მასხარა“ და სხვ. (სატირული პრესის შესახებ უფრო დეტალურად იხ. (ნიშნიანიძე 1971).

²⁸ „ნიშადური“ - ქართული ყოველკვირეული სატირული ჟურნალი, გამოდიოდა 1907-1908 წლებში თბილისში; გამოიცა 61 ნომერი: რედაქტორ-გამომცემელი - ვალერიან გუნიას.

²⁹ ზღუდერის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია - დარბაზული, მოცულობით პატარა, ნაგებია ქვითკირით და სამხრეთის კარის ზემოდან მთლიან ქვაზე აქვს წარწერა (მავალათია 1971: 43). ცხინვალში არსებული ხუროთმოძღვრების ძეგლების შესახებ ყურადღებას ამახვილებდა იოსებ მეგრელიძე (იხ. მეგრელიძე 1984). ტაძარი განახლებულია XVII საუკუნის შუა ხანებში. ცხინვალის ხუროთმოძღვრების ძეგლების შესახებ იხ. მღებრიშვილი 2017.

იმედაშვილი 1940: იმედაშვილი ი., ქართველ მოღვაწეთა ბიო-ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი: სიტყვანი (ნუსხა) / ხელნაწერი, 1940.

მაკალათია 1971: მაკალათია ს., ლიახვის ხეობა. თბილისი, 1971.

მეგრელიძე 1984: მეგრელიძე ი., სიმკვლეები ლიახვის ხეობაში. თბილისი, 1984.

მიქაძე 1984: მიქაძე გ., ფსევდონიმების ლექსიკონი. თბილისი, 1984.

მიქაძე 1998: მიქაძე გ., ქართულ ფსევდონიმთა სამყაროში. თბილისი, 1998.

მღებრიშვილი 2014: მღებრიშვილი ალ., სალიტერატურო ცხოვრება ცხინვალის რეგიონში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე (რევაზ ფავლენიშვილი). გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, №6. თბილისი, 2014.

მღებრიშვილი 2017: მღებრიშვილი ალ., მღვდელი იროდიონ ოქროპირიძე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა ცხინვალში. თბილისი, 2017.

ნიშნაძე 1971: ნიშნაძე გ., სიცილის არქივიდან. თბილისი, 1971.

სოსიაშვილი 2008: სოსიაშვილი გ., საქართველოს წარჩინებულ გვართა ისტორიიდან. თბილისი, 2008.

სოსიაშვილი 2018ა: სოსიაშვილი გ., ფავლენიშვილთა ურთიერთობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. შრომები, XIII. თბილისი, 2018.

სოსიაშვილი 2018ბ: სოსიაშვილი გ., ფავლენიშვილების დაპირისპირება ნიქოზელ ეპისკოპოსებთან (XVIII საუკუნის 80-იან წლებში). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. შრომები, XIV. თბილისი, 2018.

ფავლენიშვილი 1902: ფავლენიშვილი რ., დ. ცხინვალი. გაზეთი „ივერია“, №105, 1902.

ფავლენიშვილი 1914: ფავლენიშვილი რ., ქართული თეატრის გარშემო. ჟურნალი „კლდე“, №33. 1914.

ფავლენიშვილი 1915: ფავლენიშვილი რ., ჩვენი ცხოვრება (ვაჭრობა და მრეწველობა). ჟურნალი „კლდე“, №4, 1915.

შულღიაშვილი 1914: შულღიაშვილი დ., ქართული ფსევდონიმები/ხელნაწერი („ახალი ქართლი“. გორი, 1914.

ცისკარიძე 1972: ცისკარიძე ვ., უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები. თბილისი, 1972.

წერეთელი 1896: წერეთელი ა., განთიადი. გაზეთი „კვალი“. №21, 1896.

წოწელია 1965: წოწელია ვ., მოთხრობები. თბილისი, 1965.

ჭავჭავაძე 1941: ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, კრებული ხუთ ტომად, პ. ინგოროყვას რედ., ტ. II. თბილისი, 1941.

ხახანაშვილი 1906: ხახანაშვილი ალ., ქართული სიტყვიერების ისტორია, ტ. IV, თბილისი, 1906 (რუს.).

წყაროები

- დოლიძე 1970:** ქართული სამართლის ძეგლები. პროფ. ი. დოლიძის რედ., ტ. III. თბილისი, 1970.
- ვახუშტი 1973:** ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა), ტ. IV. თბილისი, 1973.
- თეატრი და ცხოვრება 1918:** ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, №8, 1918.
- ივერია 1894ა:** გაზეთი „ივერია“, №35, 1894.
- ივერია 1894ბ:** გაზეთი „ივერია“, №53, 1894.
- ივერია 1896ა:** გაზეთი „ივერია“, №4, 1896.
- ივერია 1896ბ:** გაზეთი „ივერია“, №7, 1896.
- ივერია 1899:** გაზეთი „ივერია“, №279-280, 1899.
- ივერია 1902:** გაზეთი „ივერია“, №105, 1902.
- კლდე 1914ა:** ჟურნალი „კლდე“, №24, 1914.
- კლდე 1914ბ:** ჟურნალი „კლდე“, №33, 1914.
- კლდე 1915ა:** ჟურნალი „კლდე“, №5, 1915.
- კლდე 1915ბ:** ჟურნალი „კლდე“, №7, 1915.
- მიწერ-მოწერა... 1908-1920:** მიწერ-მოწერა საზოგადოების ცხინვალის განყოფილებასთან და მოხსენებები განყოფილების მუშაობის შესახებ. 1908 წლის ოქტომბრის 10 - 1920 წლის დეკემბრის 28. ფურც. 51; 1072 (1092) 28, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“.
- მომბე 1895:** ჟურნალი „მომბე“, №11, №12, 1895.
- მომბე 1896ა:** ჟურნალი „მომბე“, №1, 1896.
- მომბე 1896ბ:** ჟურნალი „მომბე“, №4, 1896.
- მომბე 1896გ:** ჟურნალი „მომბე“, №6, 1896.
- ნიშადური 1907:** გაზეთი „ნიშადური“, №19, 1907.
- საბჭოთა ოსეთი 1964:** გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“. 12/IV. 1964;
- საბჭოთა ოსეთი 1966:** გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, 8/V, 1966.
- საბჭოთა ოსეთი 1968:** გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, 21/X, 1968.
- სახალხო გაზეთი 1914:** გაზეთი „სახალხო გაზეთი“, №1190, 1914.
- ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია 1969:** ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. VI, ნაკ. I. თბილისი, 1969.
- ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი 1984:** ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I. თბილისი, 1984.
- ცნობის ფურცელი 1902:** გაზეთი „ცნობის ფურცელი“, №1801, 1902.